პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган ректората, парткома, профкома, месткома и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 29 (90) | ორშაბათი, 4 ოქტომბერი, 1954 წ. გამოცემის მესამე წელი | ფასი 20 კაპ.

1 ოქტომბერს შესრულდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 5 წლისთავი.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!

გაუმარჯოს დიდ ჩინელ ხალხს და მის სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა სამარადისო მეგობრობა!

# სპეციალისტების მომზადება — ახალი ამოცანების დონეზე

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადებასა და აღზრდას სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის. ჩვენში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან სპეციალისტების გამოშვება წლითიწლობით სულ უფრო ფართო გაქანებას იღებს. წელს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 56 პროცენტით მეტი სპეციალისტი, ვიდრე 1940 წელს. გაიდიდა სპეციალისტების გამოშვება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგებისათვის, მოეწყო კადრების მომზადება ახალი ტექნიკის დარგების მიხედვით, გაუმჯობესდა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სასწავლო მუშაობის ხარისხი.

იმ ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები დაამთავრეს, თავს იჩენს პრაქტიკაში როგორც თავისი საქმის კარგი მცოდნე სპეციალისტი, ისინი სწრაფად ერკვევიან წარმოების თავისებურებებში, გამოდიან ყოველივე ახლის, მოწინავისა და პროგრესულისათვის მტკიცე მებრძოლებად.

ამასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება, წარმოების ახალი დარგების ორგანიზაცია, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა უმაღლესი სკოლისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების წინაშე აყენებს ახალ, უფრო დიდ მოთხოვნებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების, განაწილებისა და გამოყენების გაუმჯობესების შესახებ წარმოადგენს საბჭოთა კავშირში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების ფართო პროგრამას. დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სპეციალისტების მომზადება, კომუნისტური აღზრდა, მათი სწორად განაწილება და გამოყენება სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებში, მათგან ყველაზე ნიჭიერების მზრუნველობით გამოზრდა და გაბედულად დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, ამასთან ძველი და ახალი კადრების სწორი შეხამება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეა. ძირითად ამოცანათა შორის დასახულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესება, მათი განაწილებისა და გამოყენების გაუმჯობესება, განსაზღვრულია სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, დაუსწრებელი და სალამოს განათლების განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგი უნდა უზრუნველვყოთ მაღალი კვალიფიკაციის საინჟინრო კადრებით. აქამდე ჩვენში საკმარისად ვერ უშვებდნენ სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ინჟინრებს. სერიოზული შეუფარდებლობა არის უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტთა მომზადების განვითარებაში. ამის შედეგად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ტექნიკოსები უფრო ნაკლები გვყავს, ვიდრე ინჟინრები.

ტექნიკის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებსა და დონეს ჩამორჩება ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხარისხი. უმაღლესი განათლების სამინისტრო და სხვა სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც სასწავლებლები აქვთ, ჯეროვან ზრუნვას ვერ იჩენენ უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის დონის ამაღლებისათვის, სტუდენტთა სამუშაო დღის სწორი ორგანიზაციისათვის.

ამოცანა ის არის, რომ გადავლახოთ ეს ნაკლოვანებანი, მივაღწიოთ ახალ წარმატებებს უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში.

უახლოეს ხანში უნდა აღმოვფხვრათ უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალობათა და სპეციალიზაციათა მეტისმეტი წვრილადობა, მოვაწყოთ უფრო ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადება. ამისათვის საჭიროა გავამსხვილოთ უმაღლეს სასწავლებელთა კათედრები და ფაკულტეტები, გადავამუშაოთ სასწავლო გეგმები და პროგრამები, აღმოვფხვრათ მრავალსაგნიანობა და დუბლირება სხვადასხვა კურსში, ზოგიერთი დისციპლინა სავალდებულოთა რიცხვიდან გადავიყვანოთ ფაკულტატიურთა რიცხვში. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ დრო სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის. შევამციროთ საგამოცდო სესიებზე გამოცდების რაოდენობა.

საჭიროა უახლოესი სამ-ოთხი წლის განმავლობაში დავამზადოთ უმაღლესი სასწავლებლებისათვის მაღალხარისხოვანი სტაბილური სასწავლო წიგნები და სახელმძღვანელოები ყველა ძირითად სასწავლო დისციპლინაში და მათ შედგენაში ჩავაბათ ყველაზე გამოჩენილი მეცნიერები და სპეციალისტები. სახელმძღვანელოები დიდი მოცულობისა არ უნდა იყოს. მათში უნდა გავაშუქოთ ცოდნის შესაბამისი დარგის საფუძვლები, გავაშუქოთ თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება.

საქმის ინტერესები მოითხოვს გავაუმჯობესოთ სტუდენტთა სწავლების ხარისხი უმაღლეს სასწავლებელთა ლაბორატორიებსა და სასწავლო სახელოსნოებში. ამ მიზნით 1954-1957 წლების განმავლობაში უნდა მოვაწყოთ სასწავლო სახელოსნოები ყველა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტებში და ფაკულტეტებზე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სტუდენტთა ნაყოფიერი საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაცია. სწორი არ არის, როცა სტუდენტები საწარმოებში იღებენ შესაძლებლობას მხოლოდ თვალყური ადევნონ საწარმოო პროცესს, ნაცვლად იმისა, რომ შეეჩვიონ დამოუკიდებელ შრომას უშუალოდ სამუშაო ადგილებზე. ასეთი პრაქტიკა საკმაოდ დადებითს შედეგებს ვერ იძლევა. საჭიროა პრაქტიკის დროს სტუდენტები გახდნენ საწარმოო პროცესის უშუალო მონაწილენი, შეიძინონ მრავალმხრივი შრომითი ჩვევები. ამასთან საჭიროა ვზრუნველყოთ, რომ სტუდენტებმა პრაქტიკა გაიარონ ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოებში, სადაც ისინი შეძლებენ კარგად გაეცნონ წარმოების უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიას.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ განვითარებულია საუნივერსიტეტო განათლება. უნივერსიტეტებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაადიდონ და კიდევაც უნდა გაადიდონ სპეციალისტების მომზადება პრაქტიკული მუშაობისათვის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე სახალხო განათლების დარგში. მაგრამ უნივერსიტეტების სასწავლო გეგმები მთელ რიგ სპეციალობებში გათვალისწინებულია მეტისმეტად ვიწრო პროფილის სპეციალისტების მოსამზადებლად. ამ გეგმებში ცოტა დრო ეთმობა პრაქტიკას. ამიტომ უნივერსიტეტის ბევრი კურსდამთავრებული სუსტად არის მომზადებული სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების დარგში მუშაობისათვის. უმაღლესი განათლების სამინისტრომ უნდა გადასინჯოს უნივერსიტეტების სასწავლო გეგმები და უნივერსიტეტებში სპეციალისტთა მომზადება დაუახლოოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მოთხოვნებს.

ახალგაზრდა სპეციალისტების სწორი განაწილება ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ქარხნებისა და ფაბრიკების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა, მშენებლობების, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების ნამდვილი საჭიროებანი და მოთხოვნები, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმეა. ზოგიერთი სამინისტრო და უწყება კი ვერ უზრუნველყოფს ჯეროვან კონტროლს ახალგაზრდა სპეციალისტთა პერსონალური განაწილებისადმი. მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ხელმძღვანელები უმაღლეს სასწავლებელთა და ტექნიკუმთა კურსდამთავრებულების მნიშვნელოვან ნაწილს დიდ ქალაქებში ტოვებენ ან შესაძლებლობას აძლევენ მათ დამოუკიდებლად მოეწყონ სამუშაოზე, ხოლო ამავე დროს პერიფერიის საწარმოები და დაწესებულებები კვალიფიციური კადრების სერიოზულ ნაკლებობას განიცდიან. საჭიროა მტკიცედ ვებრძოლოთ იმის ცდებს, რომ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებულნი სამუშაოზე ეწყობოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების დაუსაბუთებელი თხოვნით, საჭიროა დავაწესოთ სასტიკი კონტროლი იმისადმი, რომ ისინი თავის დროზე ჩადიოდნენ დანიშნულების ადგილზე.

დიდი ამოცანა დგას უმაღლესი სასწავლებლების პროფესორთა და მასწავლებელთა კოლექტივების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე სტუდენტობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების საქმეში. ახალგაზრდა სპეციალისტი არა მარტო თავისი საქმის კარგი მცოდნე უნდა იყოს, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც. სტუდენტობა უნდა აღვზარდოთ შეგნებული დისციპლინის, ცოდნის მიღებისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, სახელმწიფოებრივი მოვალეობის მაღალი გრძნობის სულისკვეთებით.

ახალგაზრდა სპეციალისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ კადრების ნამდვილი გამოწრთობა ხდება წარმოებაში, სიძნელეებთან ბრძოლაში, სიძნელეთა გადალახვაში. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დამთავრების შემდეგ მიიღებენ რა სამინისტროებისა და უწყებების დანიშვნას, ისინი ვალდებული არიან სულ ცოტა სამი წელი იმუშაონ უშუალოდ წარმოებაში — საწარმოთა საამქროებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, საავადმყოფოებში, სკოლებში და სხვ. ამ ვადის განმავლობაში საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს აკრძალული აქვთ გამოიყენონ ახალგაზრდა სპეციალისტები სამმართველო აპარატში ან გადაიყვანონ ისინი ისეთ სამუშაოზე, რომელიც დაკავშირებული არ არის სასწავლებელში მიღებულ სპეციალობასთან.

სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან ყველა პირობა შექმნან ახალგაზრდა სპეციალისტების საწარმოო ზრდისათვის, გაბედულად დააწინაურონ უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე ყველაზე მომზადებული სპეციალისტები. ამავე დროს საჭიროა ვზრუნავდეთ ახალგაზრდა სპეციალისტთა საყოფაცხოვრებო მოწყობისათვის, ვუქმნიდეთ მათ საჭირო საბინაო პირობებს.

ჩვენს ქვეყანაში არსებობს დაუსწრებელი და სალამოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემა, რომელმაც მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება. საჭიროა კვლავაც განვავითაროთ სპეციალისტთა მომზადების ეს დარგი. ამოცანა ის არის, რომ 1960 წელს 1953 წელთან შედარებით დაუსწრებელი და სალამოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემაში მოსწავლეთა რიცხვი გადიდდეს სულ ცოტა ერთიორად, ხოლო სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკურ სპეციალობათა დარგში — სულ ცოტა ერთისამად.

უმაღლესი სკოლისა და ტექნიკუმების საქმიანობა ყოველთვის უნდა იყოს ადგილობრივი პარტიული ორგანოების ყურადღების ცენტრში. ისინი ვალდებული არიან ყოველი ღონისძიებით უწევდნენ დახმარებას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე მოთხოვნების შესაფერ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მოსამზადებლად, სასწავლო მუშაობის მოწყობაში და აუცილებელი პირობების შექმნაში. საჭიროა ყოველდღიურად ვაუმჯობესებდეთ ხელმძღვანელობას უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, წარვმართავდეთ მათს ყურადღებას სტუდენტობაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისაკენ.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის სპეციალისტთა მომზადება და აღზრდა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მუშაკთა კეთილსინდისიერი მოვალეობაა ახალ წარმატებებს მიაღწიონ კომუნისტური მშენებლობის ამ უბანზე.

**„პრავდის" 23-IX მოწინავე.**

ნ. ოსტროვსკის დაბადებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავად

## რუსული ლიტერატურის სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომა

ამას წინათ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნა საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი მწერლის, ნიკოლოზ ალექსის ძე ოსტროვსკის დაბადებიდან 50 წლისთავი.

29 სექტემბერს ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებულმა ლიტერატურულმა წრემ მოაწყო ამ თარიღისადმი მიძღვნილი გაფართოებული სხდომა. სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: „ნ. ოსტროვსკი — მწერალი და მებრძოლი" (მომხსენებელი V კურსის სტუდენტი ა. ბახტაძე), „ოსტროვსკი ლიტერატურის შესახებ" (მომხსენებელი IV კურსის სტუდენტი ნ. გოლოვანჯიანი), „საბჭოთა ახალგაზრდის სახე ოსტროვსკის რომანების მიხედვით" (მომხსენებელი V კურსის სტუდენტი ლ. ანტონოვა).

## გამოფენა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოაწყო დიდი რუსი მწერლის ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ოსტროვსკის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ნ. ოსტროვსკის ნაწარმოებთა გამოცემები რუსულ და ქართულ ენებზე. ყურადღებას იპყრობს რუსი კრიტიკოსების შრომები ოსტროვსკის ნაწარმოებზე. აქვეა წარმოდგენილი სტატიები და ნარკვევები ნ. ოსტროვსკის შესახებ, აგრეთვე მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი სხვა მასალები.

გამოფენას მრავალი სტუდენტი ნახულობს.

## კარლ მარქსის „კაპიტალის" I ტომის II გამოცემა ქართულად

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა კარლ მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომი.

„კაპიტალის" პირველი ტომის მეორე გამოცემა წარმოადგენს ახალ თარგმანს, რომელიც მოამზადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

ახალი ქართული გამოცემა შესრულებულია მეოთხე გერმანული გამოცემიდან, რომელიც მომზადებული იყო ენგელსის მიერ მარქსის პირად მითითებათა საფუძველზე და იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რაც მარქსის გარდაცვალების შემდეგ მის ხელნაწერებში აღმოჩნდა. თარგმანი შედარებულია ახალ რუსულ გამოცემასთან.

წიგნის ტირაჟია 25 000 ეგზემპლარი.

## ლექცია ალკოჰოლიზმის შესახებ

ამასწინათ უნივერსიტეტში ალკკ კომიტეტის ინიციატივით მოეწყო ლექცია თემაზე — „ალკოჰოლიზმი, როგორც წარსულის მავნე გადმონაშთი". ლექცია წაიკითხა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილმა წევრმა, პროფ. ე. გობრონიძემ. ლექციამ მრავალრიცხოვან მსმენელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადება.

* * *

მხატვარ დუნ სი-ვენის სურათი.

# პეკინს ჩავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

პეკინი, 29 სექტემბერი, (საქინფორმი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეხუთე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად დღეს პეკინს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ი. მიქოიანი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ამხ. გ. თ. ალექსანდროვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი ამხ. დ. ტ. შეპილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ა. ფურცევა, უზბეკეთის სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ი. ს. ნასრიდინოვა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ვ. პ. სტეპანოვი. დელეგაციის შემადგენლობაში შედის აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხ. პ. ფ. იუდინი, რომელიც პეკინში იმყოფება.

პეკინის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფო ალმებით, საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ: ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ჩენ იუნი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ლინ ბო-ძიუ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე პინ დე-ხუაი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეები დენ ძი-ხუეი, ხე ლუნი, ჩენ ი, ულანფუ, ლი ფუ-ჩუნი, ლი სიანნიანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სამდივნოს უფროსი სი ჯუნ-სიუნი, მინისტრები შენ იანბინი, ე ძი-ჯუანი, ჯან ნაი-ცი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები გო მო-ჟო, სუნ ძინ-ლინი, დალაი-ლამა. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის წევრი პანჩენ-ლამა, უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე დუნ ბი-უ, უმაღლესი სახალხო პროკურატურის გენერალური პროკურორი ჯან დინ-ჩენი, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე უ იუი-ჯანი. ჩინეთის მშვიდობის დაცვის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჩენ შუ-ტუნი, სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარე ლაი ჟო-იუ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ჩინეთის კომუნისტური პარტიის პეკინის საქალაქო კომიტეტის მდივანი და პეკინის მერი პინ ჯენი, აგრეთვე ჩინეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხ. პ. ფ. იუდინი.

აეროდრომზე საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციები, რომლებიც პეკინში არიან ჩასული.

აეროდრომზე საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე პეკინში საბჭოთა საელჩოს მუშაკები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები და წევრები.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აეროდრომზე წარმოთქვა შემდეგი სიტყვა.

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო მეგობრებო!

ჩამოვიდა რა თქვენი დიდი ქვეყნის უძველეს დედაქალაქ პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხუთი წლისთავის დღესასწაულის ღირსშესანიშნავ დღეებში, საბჭოთა მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის ხალხთა გულითად სალამს უძღვნის მოძმე ჩინელ ხალხს.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის დამყარდა და დღითიდღე მტკიცდება ძმური კავშირი და ურღვევი მეგობრობა, ნაყოფიერი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ახალი ცხოვრების მშენებლობაში, მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ადამიანებს დიდად აინტერესებთ თქვენი შემოქმედებითი მუშაობა და დიდი სიამაყის გრძნობით მიესალმებიან თვალსაჩინო წარმატებებს, რასაც ჩინეთის მშრომელებმა მიაღწიეს სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და სახალხო მთავრობის ხელმძღვანელობით. სახალხო რევოლუციის ეს ისტორიული მონაპოვარნი განმტკიცებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციით, რომელიც ამ დღეებში მიიღო სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებამ და რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა ჩინეთში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პრინციპები. ჩვენ მხურვალედ ვულოცავთ ჩინელ ხალხს კონსტიტუციის მიღებას და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ ჩინელი ხალხის დიდი შვილისა და ბელადის ამხანაგ მაო ძე-დუნის არჩევას.

ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ, მშვიდობიან მშენებლობაში დიდმა მიღწევებმა გამოავლინა ჭეშმარიტად ბუმბერაზული ძალები ექვსასმილიონიანი ჩინელი ხალხისა, რომელმაც საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს დიდი გარდაქმნები ჩინეთში და მიაღწიოს დასახულ მიზანს.

ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხებს ორი დიდი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობა მიაჩნიათ მშვიდობის მძლავრ ზურგად, დიდ და უძლეველ ძალად, რომელიც სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს ყველა საერთაშორისო პრობლემის გადაჭრაზე მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!

გაუმარჯოს დიდ ჩინელ ხალხს და მის სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა სამარადისო მეგობრობა!

# მაო ძე-დუნმა მიიღო საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

პეკინი, 30 სექტემბერი. (საქინფორმი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა 30 სექტემბერს, დღის 3 საათზე, მიიღო საბჭოთა მთავრობის დელეგაციის (რომელიც ჩინეთს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად) ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, აგრეთვე დელეგაციის წევრები: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი გ. თ. ალექსანდროვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა, უზბეკეთის სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ი. ს. ნასრიდინოვა, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. პ. სტეპანოვი.

მიღებას დაესწრნენ ჯუ დე, ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი, ჩენ იუნი, დუნ ბი-უ, ლინ ბო-ძიუ, პინ დე-ხუაი, პინ ჯენი, დენ სიაო-პინი, დენ ძი-ხუეი, ლა ფუ-ჩუნი.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 5 წლისთავის აღსანიშნავად

1 ოქტომბერს ჩინელ ხალხთან ერთად მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 5 წლისთავი. ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში, წარმოება-დაწესებულებებში, სასწავლებლებში ამ თარიღთან დაკავშირებით ჩატარდა საზეიმო სხდომები და კრებები. ეწყობა ლექციები და მოხსენებები.

ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივმაც სათანადოდ აღნიშნა ეს თარიღი. 1 ოქტომბერს სააქტო დარბაზში შედგა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა საჯარო სხდომა, მიძღვნილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 5 წლისთავისადმი.

სხდომაზე მოსმენილი იქნა ორი მოხსენება: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა სოციალიზმის გზაზე“ — (მომხსენებელი დოც. ზ. სიმონიშვილი) და „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია“ (მომხსენებელი დოც. ს. ჯორბენაძე).

## საწარმოო თათბირზე

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს შედგა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, დამხმარე-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა უნივერსიტეტის პრორექტორის პროფ. ი. გვერდწითელის მოხსენება — „1954-55 სასწავლო წლის მიმდინარეობა და მომავალი ამოცანები.“

მოხსენებაში აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო წელი ჩვენს უნივერსიტეტში ნორმალურად დაიწყო: კათედრები დაკომპლექტდა კვალიფიციური კადრებით, დროულად შედგა სამეცადინო ცხრილები, გაუმჯობესდა ბიბლიოთეკებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მატერიალური ბაზა, გადამუშავდა და იბეჭდება სასწავლო პროგრამები; პირველკურსელ სტუდენტებთან მოეწყო შეხვედრები და სპეციალური მეთოდური ხასიათის მოხსენებები, ფაკულტეტებზე ჩატარდა საწარმოო თათბირები, მიძღვნილი ახალი სასწავლო წლის მიმდინარეობის საკითხებისადმი, საგრძნობლად ამაღლდა ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი.

ამასთან ერთად, როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ მიღწევებთან ერთად ჩვენს მუშაობას გააჩნია ნაკლოვანებანიც. ჯერ კიდევ აქვს ადგილი სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებს. დღემდე უმიზეზოდ გაცდენილი საათების რიცხვი 10 000-ს აღემატება. ფაკულტეტების დეკანატები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ნაკლებად ღებულობენ ეფექტურ ზომებს ლექციების უმიზეზოდ გაცდენების აღმოსაფხვრელად. სამწუხაროდ, ზოგჯერ ლექტორებიც კი 5—10 წუთის დაგვიანებით ცხადდებიან ლექციებზე. სასწავლო კაბინეტებში იშვიათად ნახავთ მორიგე ლექტორებს, რომლებიც ვალდებული არიან ჩაატარონ კონსულტაციები სადიპლომო, საკურსო და სასემინარო თემებზე მომუშავე სტუდენტებთან; უნივერსიტეტის სტუდენტთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის დაუფლებული რუსულსა და უცხოურ ენებს; სასწავლო გეგმების არარაციონალურად შედგენის გამო ადგილი აქვს მეხუთეკურსელთა გადატვირთვას, რაც ხელს უშლის სადიპლომო შრომების დროზე დაცვასა და სახელმწიფო გამოცდებისათვის ინტენსიურად მზადებას; აქამდე არ მოგვეპოვება სტუდენტთა სახელმძღვანელოები რიგ წამყვან დისციპლინებში; არადამაკმაყოფილებელია ავტორთა კოლექტივების მუშაობა ამ სახელმძღვანელოთა შესადგენად; მთელი შესაძლებლობით არ არის უზრუნველყოფილი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კავშირი წარმოება-დაწესებულებებთან და კოლმეურნეობებთან; ნაკლებად ეწყობა საწარმოო ექსკურსიები და სხვ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ნ. ქიიავამ (ეკონომიკის ფაკულტეტი), დოც. ა. ინწკირველმა (ეკონომიკის ფაკულტეტი), ა. გონაშვილმა (ფილოსოფიის ფაკულტეტი), დოც. ვ. ცისკარიძემ (ფილოლოგიის ფაკულტეტი), დოც. თ. ცხადაიამ (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი).

საწარმოო თათბირმა აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ საწარმოო თათბირს არ ესწრებოდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა საკმაოდ მოზრდილი რიცხვი, რამაც თავისებური კვალი დასტოვა თათბირზე.

გ. კაჭარავა

## ექსკურსია რუსთავში

ამ დღეებში ჩვენი უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრამ მოაწყო ექსკურსია ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დასათვალიერებლად ქ. რუსთავში.

ექსკურსიის მონაწილეებმა დაათვალიერეს აღნიშნული ქარხნის ცალკეული საამქროები, გაეცნენ წარმოებით პროცესებსა და მოწინავე მუშების შრომით გამოცდილებას; დაათვალიერეს ქალაქის ახალი მშენებლობანი, კულტურისა და დასვენების პარკი და სხვ.

გ. შველიძე

## საფაკულტეტო კომკავშირული ორგანიზაციების კრებებზე

# ქრებას აკლდა კომკავშირული სიცოცხლე

საქ. ალკკ XII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თათბირებითა და სხდომებით გატაცება კომკავშირული ცხოვრებისათვის არათუ შეუფერებელია, არამედ მავნეცაა, იგი ხელს უშლის ცოცხალი, საქმიანი მუშაობის გაშლას, კომკავშირელთა ინიციატივის გამოვლენას. მოსალოდნელი იყო, რომ ისტორიის ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ამას სათანადო ანგარიშს გაუწევდნენ და სერიოზულად მოეკიდებოდნენ წარმატებათა თუ ნაკლოვანებათა მხილებას.

მართალია, მოხსენებაში, და კამათში გამოსულთა სიტყვებში აქა-იქ იყო კონკრეტული მაგალითები ნაკლოვანებათა შესახებ, მაგრამ მისი განზოგადება, ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებზე ყურადღების გამახვილება, საკითხისადმი პრინციპული მიდგომა—აი, რა აკლდა კრებას!

მომხსენებლის ლაკონიურმა განცხადებებმა: „შეიძლებოდა უკეთ...“ „ამაში ბრალი მიგვიძღვის...“ და სხვ. კრება ვერ დააკმაყოფილა.

საანგარიშო პერიოდში სუსტი დახმარება გაეწია სამეცნიერო წრეებს, რის შედეგადაც ვერ იქნა მიღწეული სტუდენტთა მასობრივი მონაწილეობა წრეების მუშაობაში. ხშირად წრის მუშაობას რამდენიმე კაცი ესწრებოდა. კრებაზე ითქვა, რომ აგიტატორები ჯგუფებში დამაკმაყოფილებლად მუშაობენ. სინამდვილეში კი, როგორც მართებულად შენიშნა ფაკულტეტის დეკანმა დოც. ა. სურგულაძემ, — აგიტატორები კარგად ატარებენ საუბრებს საერთაშორისო თემებზე, მაგრამ თვალებს ხუჭავენ ჯგუფში მომხდარ უდისციპლინობაზე.

ბიუროს წევრებიდან სიტყვაში არავინ გამოსულა, ალბათ იმიტომ რომ სათქმელიც არაფერი ჰქონდათ. საანგარიშო პერიოდში ბიუროს წევრები ქაჯაია, ალექსიძე, გოთუა... უნარიანად ვერ უძღვებოდნენ მინდობილ საქმეს. ნაკლებად ეხმარებოდნენ კურსის შესაბამის სექტორებს.

კვლავ პრობლემადაა ქცეული ფაკულტეტის კედლის გაზეთის უნარიანი ხელმძღვანელობა. კედლის გაზეთების დათვალიერების დროს „საბჭოთა ისტორიკოსის“ მესამე ადგილზე გამოსვლამ მარადული მდგომარეობა შექმნა. პრესის სექტორის ხელმძღვანელი ნ. გურჯიძე ჟურნალ-გაზეთების გავრცელებით კმაყოფილდებოდა მხოლოდ და კედლის გაზეთს კი ნაკლებად ეხმარებოდა. საანგარიშო პერიოდში კომკავშირლებმა მოითხოვეს, მოეწყოთ გაზეთის მკითხველთა კონფერენცია, მუშაობის გაუმჯობესების მიზნით; მაგრამ ეს სამართლიანი მოთხოვნა უგულებელყოფილი იქნა. საანგარიშო მოხსენებაში თქმული—„ვერ მოვახერხეთ"—გაკვირვებას იწვევს; წინ ვინღა დაუდგათ?!

კომკავშირული ჯგუფბიუროების არჩევნები იერიშობანით ჩატარდა მთელ რიგ ჯგუფებში. ასე მაგალითად, III კურსის I და III ჯგუფებში არჩევნები 15 წუთიან შესვენებაზე ჩატარდა. ამის შესახებ კი კრებაზე არაფერი თქმულა. კომკავშირლების ერთი ნაწილი ლექცია-სემინარებზე არ ესწრება, 25 სექტემბრისათვის 2 500-მდე საათი იყო გაცდენილი. ბევრი კომკავშირელი აკადემიურად ჩამორჩება, მათ დასახმარებლადაც არაფერი კეთდება.

კრებაზე გაკრიტიკებული იქნა უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტიც იმის გამო, რომ საანგარიშო პერიოდში კომკავშირელთა ერთ ნაწილს რამდენიმე დავალება ეძლეოდა, მეორენი კი დავალების გარეშე იყვნენ დატოვებულნი.

ფაკულტეტის ალკკ ბიუროს თითქმის არაფერი გაუკეთებია კომკავშირელთა პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლების მიზნით. ამიტომ არის, რომ ასე დაბალია აქ კომკავშირული დისციპლინა. კრებაზე ბევრი ილაპარაკეს რ. მელაშვილის და გ. ცინცაძის უდისციპლინობაზე, რომ ისინი სისტემატურად აცდენენ ლექცია-სემინარებს. მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამას; კრებას არცერთი მათგანი არ ესწრებოდა!

აქვე შევნიშნავთ რომ, კრებას 84 კომკავშირელი აკლდა და დამსწრეთაგანაც ბევრი გაიკრიბა კრების მსვლელობის დროს. გარდა ამისა თვითონ კრებაზე იყო უდისციპლინობა, დამსწრენი ხმაურობდნენ. კრების თავმჯდომარე იქამდეც კი მივიდა, რომ რამდენიმე კომკავშირელი გარეთ გააძევა. ამისი მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ თვით კრება იყო სუსტად მომზადებული, თვით მოხსენება არ იყო შინაარსიანი და საქმის ღრმა ცოდნით დაწერილი, აკლდა სიმახვილე, ვერ იძლეოდა ნაკლოვანებათა მიზეზების ანალიზს.

**თ. სანდერაშვილი**

# სამართლიანად მიუთითეს ნაკლოვანებებზე

1 ოქტომბერს შედგა ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების ალკკ ორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრება. კრებამ მოისმინა ალკკ ბიუროს მდივნის გ. მღებრიშვილის მოხსენება საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ. მოხსენებამ ნათელყო ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაციის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. საანგარიშო პერიოდში ალკკ ბიუროს მუშაობაში ადგილი ჰქონდა ჩავარდნებს. მოისუსტებდა აგიტაცია-პროპაგანდის სექტორის მუშაობა.

თუმცა საანგარიშო პერიოდში ამ დარგში ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას თუ გადავხედავთ, იგრძნობა, რომ ამ დარგის ხელმძღვანელს და კურსბიუროების შესაბამის დარგებს ენერგიულად უმუშავნიათ იმისათვის, რომ განეხორციელებინათ უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის მიერ მითითებული ღონისძიებანი: ფაკულტეტზე ჩატარებულია საკურსო და საფაკულტეტო თეორიული კონფერენციები, ლექცია-მოხსენებები და სხვა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ აქ მივიწყებული იყო მუშაობის ძირითადი ებანი: ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჯგუფებში აგიტ-საუბრების ჩატარების საქმეს.

ფაკულტეტზე კარგად გამოიყურება კულტმასობრივი მუშაობა. ამ დარგში ჩატარებული ღონისძიებანი ნათელყოფენ, რომ ფაკულტეტის ბიუროს კარგად უმუშავნია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კულტმასობრივ მუშაობაში არსებულ მიღწევებს თავის დამსახურებად ვერ მიითვისებს ამ დარგის ხელმძღვანელი ს. ლაშხი. კულტმასობრივი ღონისძიებანი უმეტეს შემთხვევაში ხორციელდებოდა ალკკ ბიუროს მდივნისა და ფაკულტეტის პარტიული ბიუროს მდივნის ამხ. ლ. მენაბდის აქტიური ჩარევითა და ხელმძღვანელობით. ფაკულტეტზე მოისუსტებდა საშეფო მუშაობა, თავისუფალი ორგანიზაციების მუშაობა. ამ დარგების მუშაობის ჩაშლაში გარკვეული წვლილი უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის შესაბამის დარგებსაც მიუძღვით.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა სამართლიანად მიუთითეს საანგარიშო პერიოდში ბიუროს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

**ნ. ბარბაქაძე**

# წესრიგს ვინ არღვევდნენ და... ისევ ბიუროს წევრები

ალკკ ბიუროს სუსტი მუშაობა, ჩავარდნები სამეცნიერო წრეებში, უდისციპლინობა, გაცდენები — აი, რა დასკვნები შეიძლებოდა გამოგვეტანა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივნის ამხ. ი. ხუსკივაძის საანგარიშო მოხსენებიდან.

ზოგი ამხანაგი არ იყო ბიუროში შეყვანის ღირსი. სუსტად მუშაობდა აკადემიური სექტორი. მთელი სიმძიმის ცენტრი მუშაობისა გადატანილი იყო ბიუროს მდივანსა და მოადგილეზე. ცუდად მუშაობდა კულტ-მასიური სექტორი, იგი იფარგლებოდა მხოლოდ კინოთეატრებში სვლების მოწყობით.

ფაკულტეტზე სუსტად მუშაობდნენ სამეცნიერო წრეები. წრის მუშაობის დროს ლექტორები არ იჩენდნენ აქტიურობას. არ ჩანდა სტუდენტების ინიციატივა და სიყვარული არჩეული საქმისადმი. წრის სხდომებს იშვიათად ესწრებოდნენ ასპირანტები.

ფაკულტეტის კომკავშირულ ბიუროს თავის მუშაობაში ნამდვილად ჩავარდნა ჰქონდა. ირღვეოდა დისციპლინა, ადგილი ჰქონდა ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებს და როგორც ფაკულტეტის დეკანმა დოც. კ. ფალავამ აღნიშნა, ვინ აცდენდა?—ისევ ბიუროს მდივანი და მისი წევრები, კერძოდ: ძელიქაძე და ბერიშვილი. როცა ფაკულტეტის ალკკ ბიურო ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, ცხადია, კომკავშირული მუშაობაც არ იქნებოდა ბრწყინვალედ დაყენებული. ამის შედეგად მოხდა, რომ კრება უხალისოდ ჩატარდა. კამათში თუ ვინმემ მიიღო მონაწილეობა, ისევ ბიუროს წევრებმა. რიგითი კომკავშირლები კი, არ იჩენდნენ აქტივობას, არ აკრიტიკებდნენ წესრიგის დამრღვევ და უქნარა ამხანაგებს. ასეთები კი აქ არც ისე ცოტანი ყოფილან.

ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანს თავის საანგარიშო მოხსენებაში არაფერი აღუნიშნავს კურსბიუროების მუშაობის შესახებ, პროფკავშირის, დეკანატისა და ალკკ კომიტეტის დახმარების შესახებ, ცოტა ითქვა მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებისა და რუსული ენის დაუფლების შესახებ.

კრებამ აირჩია ბიუროს ახალი შემადგენლობა და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

**ნ. ჭაბუკიანი**

# საჭიროა მეტი ვიმუშაოთ

სტუდენტთა აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ზრუნვა კომკავშირული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. ამ მიზანს ემსახურება სტუდენტთა თეორიული კონფერენციები ლექცია-მოხსენებები, აგიტსაუბრები.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირულ ორგანიზაციას სტუდენტთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული. მაგრამ ამ ღონისძიებათაგან გამომდინარე ხელშესახები შედეგების გადასინჯვისას ვრწმუნდებით, რომ ყველაფერი რიგზე მაინც არაა. ფაკულტეტზე ადგილი აქვს სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებს. ასე მაგალითად მე-14 ჯგუფში (ჯგუფხელი ი. მოძმანიშვილი) სტუდენტების მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 36 საათი, მე-15 ჯგუფში (ჯგუფხელი ნ. შენგელია)— 60 საათი, მე-18 ჯგუფში (ჯგუფხელი ა. ხაბულიშვილი)—65 საათი და ა. შ.

ზემოთ დასახელებული ციფრები ამოწერილია საალრიცხვო ჟურნალებიდან და ამ ჯგუფების „ძმაბიჭურად“ განწყობილი ჯგუფხელების ხელშეწყობით არც თუ ისე სრულია. სტუდენტთა მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტები ფაკულტეტზე მრავლად მოიპოვება. დისციპლინის დარღვევაში განსაკუთრებით პირველკურსელები გამოირჩევიან. მიმდინარე წლის 28 სექტემბერს მარქსიზმ-ლენინიზმის ლექციებიდან დისციპლინის დარღვევისათვის გაძევებულ იქნენ პირველკურსელები ლ. მამალაძე, დ. მაჭავარიანი და კ. ელიაშვილი.

სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენისა და დისციპლინის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სუსტად მუშაობენ კომკავშირული ჯგუფები. კომკავშირულ ჯგუფებში საჭიროდ არ თვლიან იმსჯელონ ლექციების გამცდენ და დისციპლინის დამრღვევ სტუდენტთა შესახებ.

საჭიროა, რომ ჩვენი ფაკულტეტის კომკავშირულმა ორგანიზაციამ დეკანატთან, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მეტი პრინციპულობა გამოიჩინოს იმ სტუდენტთა მიმართ, რომლებიც უმიზეზოდ აცდენენ ლექციებს და არღვევენ დისციპლინას.

**გ. ქორქაშვილი,**
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# ქართული ლიტერატურის ისტორია*

ქართული ლიტერატურათმცოდნეობა დიდ ვალშია მკითხველი საზოგადოებრიობის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლიტერატურა თავისი არსებობის თხუთმეტ საუკუნეს ითვლის და თავისი მრავალფეროვნებითა და იდეური სიღრმით ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში, მისი შესწავლის საქმე ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ამის უტყუარი მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ჩვენ დღემდე არ გაგვაჩნია ქართული ლიტერატურის ისტორიის მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით გაშუქებული სრული კურსი. საკამათო არაა, რომ სისტემატური კურსის შექმნა რთულია, დაკავშირებულია მრავალ სიძნელესთან. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ქართული ლიტერატურისმცოდნეობის მესვეურთ. მართალია, ჩვენ გვაქვს ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმომხილველი კურსები, გაგვაჩნია საყურადღებო ნარკვევები, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ამასთანავე, აღნიშნულ შრომებში სრულად არაა ასახული ჩვენი ხალხის მდიდარი სულიერი კულტურა, სათანადოდ არაა წარმოდგენილი მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესები, მწერლობის დაწყებიდან უკანასკნელ ხანამდე, ზოგი კურსი უკვე მოძველდა (პროფ. ალ. ხახანაშვილისა), ზოგი კი, რომელთაც ჯერჯერობით უმაღლეს სასწავლებლებშიც იყენებენ სახელმძღვანელოდ (მაგ. პროფ. კ. კეკელიძის შრომები), ფაქტიურად სცილდება უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის ფარგლებს, რადგან ამ შრომების მოცულობა და მიზანი სხვაა, მასალის შერჩევა და დალაგებაც არ გამომდინარეობს პედაგოგიური მიზნებიდან.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში არსებული ხარვეზის ამოვსებას ხელი მიჰყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა, რომელმაც წამოიწყო ქართული ლიტერატურის ისტორიის ოთხტომეულის გამოცემა. პირველი ტომი მოიცავს V—XVIII საუკუნეების მწერლობის ისტორიას; მეორე—XIX—XX საუკუნეებს, ოქტომბრის რევოლუციამდე; მესამე ტომი მიეძღვნება ქართულ საბჭოთა მწერლობას; მეოთხე ტომი დაეთმობა ქართულ ხალხურ სიტყვიერებას.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ რედაქციის აზრით „ოთხტომეულმა უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა ფართო მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებანი ჩვენი მწერლობის განვითარების ისტორიული პროცესის შესაცნობად. ამასთან ოთხტომეული უნდა გამოდგეს სკოლების სახელმძღვანელოდ“. რედაქციისავე განცხადებით, „ოთხტომეული ემყარება ქართული ლიტერატურისმცოდნეობის მთელ მონაპოვარს, ის გამოხატავს ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე დონეს“.

ჩვენ უკვე გვაქვს საშუალება რედაქციის განცხადების სისწორე დავადასტუროთ ახლახან გამოსული „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომის მიხედვით.

აღნიშნულ ტომში მიმოხილულია ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.). ტომის შესავალი და პირველი ნაწილი დაწერილია პროფ. კ. კეკელიძის მიერ, მეორე ნაწილი ეკუთვნის პროფ. ალ. ბარამიძეს. შესავალში განხილულია სამი საკითხი (ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული მწერლობისა, პერიოდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა, სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში). აქ საგანგებოდაა გახაზული, რომ „ქართველმა ხალხმა შექმნა მეტად მდიდარი და შინაარსიანი ძველი მწერლობა, რომელსაც გარკვეული ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში“.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდებად დაყოფისას გამოსავალ პრინციპად აღებულია სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა ევოლუცია, განვითარების ეტაპები ფეოდალური ფორმაციისა, რომლის ჩარჩოებში მიმდინარეობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია.

პირველ ნაწილში მიმოხილულია ძველი ქართული მწერლობის განვითარების ისტორიული გზა მოყოლებული V საუკუნიდან ვიდრე მეთორმეტე საუკუნის ნახევრამდე.

დახასიათებულია ბიბლიური, აპოკრიფული და აგიოგრაფიული მოთხრობანი, განხილულია სისტორიო მწერლობა, ფილოსოფიური მწერლობა, სათანადო ადგილი ეთმობა ძველი ქართული სასულიერო პოეზიის მიმოხილვას.

მეორე ნაწილში ვრცლადაა წარმოდგენილი ე. წ. კლასიკური ხანის ქართული ლიტერატურის ძეგლები (ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი, ვეფხის ტყაოსანი და სხვა). კარგადაა ნაჩვენები რუსთაველის პოემის საკაცობრიო მნიშვნელობა, სახელდობრ ის, რომ ქართველმა პოეტმა XII საუკუნეში, რელიგიურ-მისტიკური აზროვნებისა და ბნელეთის მოციქულთა საყოველთაო ბატონობის ხანაში, უდიდესი პოეტური ხმით უმღერა გრძნობის თავისუფლებას, ამაღლებულ ადამიანურ სიყვარულს. ხალხთა და ქვეყნათა ურთიერთ მტრობისა და გაუთავებელი შუღლის პირობებში შთაგონებით უმღერა ხალხთა ძმობასა და მეგობრობას, ხალხთა ურთიერთ სიყვარულსა და კეთილმეზობლურ თანამშრომლობას. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ რუსთაველმა გაცილებით ადრე და უფრო რადიკალური ფორმით გამოხატა ის ჰუმანისტური იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო განათლებული კაცობრიობის ახალ, ე. წ. რენესანსულ კულტურას.

შრომაში დიდი ადგილი აქვს მიჩენილი XV—XVIII სს. მწერლობას. გარკვეული და დასაბუთებულია, რომ ამ ხანის პროგრესული ქართული მწერლობა განვითარდა სპარსულ-მუსლიმანური კულტურის დაძლევითა და მშობლიური ხალხური შემოქმედებითი ტრადიციების გაღრმავებით.

წიგნი დაწერილია საგნის ღრმა ცოდნითა და დიდი სიყვარულით. ის არ წარმოადგენს აღნიშნულ ავტორთა სხვა შრომების მექანიკურ შემოკლებას. მასალა გადმოცემულია მეცნიერულ-პოპულარული ენით, იკითხება ხალისითა და ინტერესით. იშვიათია სქოლიოების გამოყენების შემთხვევები, მითითებულია მხოლოდ პირველ წყაროებზე, სპეციალური ნარკვევები სულ რამდენჯერმე დასახელებული. ავტორთა ცდა,—წიგნის გადატვირთვის აცილებისა,—წარმატებითაა მიღწეული.

ცხადია, წიგნი უნაკლო არაა. ზოგი საკითხი მოითხოვს დამატებით გაშლასა და გაშუქებას (ქართული დამწერლობის წარმოშობა), ზოგი რამდენადმე ზედმეტი მასალითაა წარმოდგენილი (აპოკრიფული მოთხრობანი, ვისრამიანი), დაზუსტებას მოითხოვს ზოგი დებულება (თეიმურაზ I, ბესარიონ გაბაშვილი), უმჯობესი იყო წყაროსა და ლიტერატურის დამოწმების შემცირება (გვ. 71, 75, 85, 95, 137, 140, 148, 158) და საერთო წესის გატარება. ასეთი ხასიათის მცირე შენიშვნა სხვაცაა, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ოდნავადაც ვერ ამცირებს წიგნის საერთო ღირსებას, ჩრდილს ვერ აყენებს კარგად დაწყებულ საქმეს.

ქართველმა მკითხველმა საზოგადოებრიობამ აღნიშნული წიგნით მიიღო კარგი საჩუქარი, სამაგიდო წიგნი, ჩვენმა ახალგაზრდობამ — ჩინებული სახელმძღვანელო.

სასურველია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა დააჩქაროს „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მორიგი ტომების გამოქვეყნება". ქართველი მკითხველი საზოგადოებრიობა ამას მოუთმენლად ელის.

**ლ. მენაბდე**

---

* ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.). საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოც. 1954.

# შეხვედრა ინდოეთის სტუდენტთა დელეგაციასთან

ამას წინათ მოსკოვის უნივერსიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოვიდა ინდოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა და მასწავლებელთა დელეგაცია.

27 სექტემბერს დელეგაციის წევრთა ერთი ჯგუფი თბილისს ეწვია.

აეროპორტში სტუმრებს შეხვდნენ აკადემიკოსები ნ. ი. მუსხელიშვილი, ი. ს. ბერიტაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ვ. დ. კუპრაძე, გ. ს. ახვლედიანი, გ. ვ. წერეთელი, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. ყლენტი და სხვ.

დელეგაციის წევრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ვ. დ. კუპრაძემ. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ თბილისის საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით ეგებება მეგობარი ინდოელი ხალხის წარმომადგენლებს, რომ საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის კულტურული ურთიერთობა, რომელიც თანდათან ფართოვდება, ხელს შეუწყობს ორი დიდი ხალხის შემდგომ დაახლოებას.

საპასუხო სიტყვაში ქალაქ ლაწკაუს უნივერსიტეტის პროფესორმა აიერმა აღნიშნა, რომ ინდოელი და საბჭოთა ხალხები აღსავსენი არიან ერთიანი მისწრაფებით—შეინარჩუნონ მშვიდობა და რომ ინდოეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, რომელიც ვითარდება, ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

ინდოეთის სტუდენტთა და მასწავლებელთა დელეგაცია გაეცნო საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობასა და ახალგაზრდობის ცხოვრებას.

* * *

28 სექტემბერს ინდოეთის სტუდენტთა და მასწავლებელთა დელეგაცია ჩვენს უნივერსიტეტს ეწვია.

ინდოელი ხალხის წარმომადგენლებს უნივერსიტეტში გულთბილად შეხვდნენ. სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს აუდიტორიები, ლაბორატორიები და კაბინეტები, ესაუბრნენ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, დაესწრნენ სტუდენტთა საჩვენებელ თამაშს კალათბურთში.

საღამოს უნივერსიტეტის საქტო დარბაზში შედგა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხვედრა ინდოელი სტუდენტებისა და მასწავლებლების დელეგაციასთან. დარბაზში შეკრებილნი გულთბილად მიესალმენ ინდოელ სტუმრებს—ჩვენ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ექვსიათასიანი კოლექტივი უდიდესი სიხარულით შევხვდით ცნობას იმის შესახებ, რომ დღეს ჩვენთან სტუმრად იქნებიან ინდოელი ხალხის წარმომადგენლები. ჩვენ გვიყვარს ინდოეთი—უძველესი და უმდიდრესი კულტურის ქვეყანა. ჩვენ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გვსურს მშვიდობა და მეგობრობა მსოფლიოს ყველა ხალხებთან,—განაცხადა მისასალმებელი სიტყვით გამოსულმა სტუდენტმა ანზორ ჩაფიძემ. საპასუხო სიტყვაში კალკუტის უნივერსიტეტის ასპირანტმა შანკარ დატტამ მადლობა გადაუხადა ჩვენს კოლექტივს გულთბილი შეხვედრისათვის.

„ჩვენ, ინდოელი სტუმრები,—აღნიშნა მან,—ვაფასებთ მშვიდობას და გვესმის, რომ მშვიდობა უნდა მოვიპოვოთ ბრძოლით, თუ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა მხარში ამოუდგება ერთმანეთს მშვიდობისათვის ბრძოლაში, ჩვენ ვერავინ დაგვაშინებს ატომის მუქარით".

შეხვედრაზე ჩვენი უნივერსიტეტის თვითმოქმედმა კოლექტივმა ინდოელ სტუმართა პატივსაცემად გამართა კონცერტი. საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამით.

# ახალი წარმატებებისათვის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა შორის მეცნიერულ-კვლევითი ჩვევების დანერგვის საქმეს. არაერთმა და ორმა ცნობილმა მეცნიერმა თავისი მეცნიერული საქმიანობა სწორედ სტუდენტის მერხიდანვე დაიწყო. სტუდენტთა შორის მეცნიერულ-კვლევითი ჩვევების დანერგვისა და გამომუშავების საქმეს ემსახურება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ გასულ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა. სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში წაკითხულ მოხსენებათა ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ბევრი მათგანი წარმოადგენს დამოუკიდებელ მეცნიერულ გამოკვლევას, რომლის დაბეჭდვაც სასურველია, როგორც სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში, ისე სპეციალურ ორგანოებშიც კი.

უნდა ითქვას, რომ ახალ სასწავლო წელს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება მოუმზადებელი არ შეხვედრია. ზოგიერთმა წრემ უკვე განაახლა მუშაობა (რუსული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და სხვა). რუსული ლიტერატურის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ (ხელმძღვანელი V კურსის სტუდენტი ი. ბოგომოლოვი) შეხვედრა მოაწყო პროფ. მეილახთან. მანვე მოაწყო ნ. ოსტროვსკის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია.

რამდენიმე სიტყვა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების თემატიკის შესახებ. ძირითადში სტუდენტთა სამეცნიერო წრეების თემატიკა კარგადაა შედგენილი, ემსახურება თანადროულობის აქტუალურ საკითხებს; მაგალითად, ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეების თემატიკაში ვხვდებით ასეთ თემებს: „სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და მისი მნიშვნელობა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის", „მანქანა-ტრაქტორთა სადგურები სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლაში" და სხვა. ბიოლოგიის სამეცნიერო წრის თემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიჩურინული ბიოლოგიისა და პავლოვის მოძღვრების საკითხებისადმი მიძღვნილ მოხსენებებს: „ი. პ. პავლოვის მოძღვრება მეცხოველეობის აღმავლობის სამსახურში", „ი. პ. პავლოვის მოძღვრების დიალექტიკურ-მატერიალისტური ხასიათი" და სხვ.

კარგადაა შედგენილი აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თემატიკა. წრეს უახლოეს მომავალში განზრახული აქვს სამეცნიერო სესიის ჩატარება თემაზე: „კომუნისტური პარტიის ბრძოლა საბჭოთა ადამიანის შეგნებიდან კაპიტალისტური გადმონაშთების დაძლევისათვის". 1955 წლის თებერვალში წრე ჩაატარებს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას მიძღვნილს 1905 წლის რევოლუციის 50 წლისთავისადმი და სხვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა წრეს ჯერ კიდევ არ განუახლებია მუშაობა. ამაზე კი სათანადო კათედრების დახმარებაა საჭირო.

სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა აღმავალი ხაზით მიდის. საჭიროა უნივერსიტეტის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მხრიდან უფრო ქმედითი დახმარება და კონტროლი, რათა აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებანი, რაც ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ გააჩნია თავის მუშაობაში და მიმდინარე სასწავლო წლის მანძილზე კიდევ მეტ წარმატებებს მივაღწიოთ.

**დ. კაციტაძე,**

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

# გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელთა წარმატება

კალათბურთელთა ასპარეზობა უნივერსიტეტის პირველობაზე, რომელიც დიდი ინტერესით მიმდინარეობდა, დამთავრდა. შეჯიბრება ვაჟთა შორის ყველაზე ძლიერად ჩაატარა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა, რომელმაც 7 ჩატარებული შეხვედრიდან ყველა თავის სასარგებლოდ დაამთავრა, მოაგროვა ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (14 ქულა) და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე, 13 ქულით, გამოვიდა იურიდიული ფაკულტეტის კალათბურთელთა გუნდი, რომელმაც მხოლოდ ჩემპიონისაგან იწვნია დამარცხება. აღსანიშნავია, რომ ამ ორი გუნდის შეხვედრა ჩემპიონატის ყველაზე დაძაბული თამაში იყო, ამავე დროს, სწორედ ამ შეხვედრამ გადაწყვიტა პირველობის ბედიც. იურიდიული ფაკულტეტის გუნდში გამოდიოდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ჯორჯიკია, ხოლო გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდის ღირსებას იცავდა სპორტის ოსტატი გ. აბაშიძე. ეს დაძაბული შეხვედრა მოიგეს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელებმა მინიმალური უპირატესობით—56 : 54.

I და II ადგილებზე გამოსულ გუნდებთან თუ დამარცხდა ფიზიკის ფაკულტეტის გუნდი, სამაგიეროდ მან ყველა სხვა შეხვედრა მოიგო და გათამაშების ცხრილში 12 ქულით III ადგილი დაიკავა. ფილოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელებმა გაიმარჯვეს ისტორიის, ბიოლოგიის, ეკონომიკის და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტების კალათბურთელებთან, შეაგროვეს 11 ქულა და IV ადგილზე გავიდნენ. V ადგილზე გამოსულმა ისტორიის ფაკულტეტის კალათბურთელებმა 9 ქულა დააგროვეს. (აღსანიშნავია, რომ ისინი არ გამოცხადდნენ იურიდიული ფაკულტეტის კალათბურთელებთან შესახვედრად).

მომდევნო ადგილებზე არიან ბიოლოგიის, ეკონომიკის და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გუნდები, ამ უკანასკნელმა ცუდად ჩაატარა შეჯიბრება, ყველა შეხვედრა წააგო და უკანასკნელ—VIII ადგილზე გამოვიდა.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ვაჟთა გუნდს არ ჩამორჩა ამავე ფაკულტეტის ქალთა გუნდიც, რომელმაც აგრეთვე I ადგილი დაიკავა ქალთა შორის. მათ ყველა შეხვედრა დაუმარცხებლად ჩაატარეს და მოაგროვეს 10 ქულა. II ადგილზე ქალთა შორის გამოვიდნენ ფილოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელები, რომლებმაც ჩემპიონის გარდა ყველა დანარჩენ გუნდს მოუგეს და 9 ქულა დააგროვეს. 8 ქულით III ადგილზე გამოვიდა ქიმიის ფაკულტეტის გუნდი. IV ადგილზე—ეკონომიკისა (7 ქულა) და V ადგილზე—დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის (6 ქულა) ქალთა გუნდები.

უნდა აღინიშნოს, რომ V საუნივერსიტეტო სპარტაკიადის დროს ამ გუნდმა კარგი შედეგები აჩვენა. ამ შეჯიბრებაში კი სრულებით ვერ გამოიყენა თავისი შესაძლებლობანი. ფიზიკის ფაკულტეტის ქალთა გუნდი პირველ შეხვედრაში მხოლოდ 4 კალათბურთელით გამოცხადდა. შემდეგ შეხვედრებში კი სრულებით აღარ გამოცხადებულა, რისთვისაც ეს გუნდი მოხსნილი იქნა შეჯიბრებიდან.

ამ საინტერესო ასპარეზობის დახურვის დღეს მოეწყო ელვა-ტურნირი სამ-სამი გუნდის მონაწილეობით. ვაჟთა შორის გაიმარჯვა იურიდიული ფაკულტეტმა და ქალთა შორის კი ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა. ჩემპიონატში პირველ ადგილზე გამოსულ გუნდებს გადაეცათ გარდამავალი თასები, ხოლო ამ გუნდების მონაწილეებს სიგელები. სიგელები გადაეცათ აგრეთვე ელვა-ტურნირში გამარჯვებულებს.

**ა. მესხი,**

შეჯიბრების მსაჯი.

## სატირა და იუმორი

# იშვიათი სტუდენტი



მუდამ ვღებულობ ტკბილი ღიმილით
დავალებებს და ყველა დაკვეთებს,
„სიამოვნებით!" — ვიტყვი და მერე,
რა ვუყოთ, თუ კი ვერ გავაკეთებ.

შორიდან ვაწვალობ ყველა ლექტორის
ყველა მამიდას, ყველა დეიდას,
შევსებული მაქვს გრძელი ანკეტა
ყველა მათგანის მოხელის დღეიდან.





ფრთხილი კაცი ვარ, სავსე ზრდილობით,
ვშიშობ საწყენი არსად წამომცდეს;
ყალბი ხმაურით, ქათინაურით,
„მომზადებული" ვხვდები გამოცდებს.
ყველა სხდომაზე, ყველა კრებაზე,
მე სიტყვას ვამბობ ხუთ-ხუთ წუთიანს,
რომ ბევრი შრომა არის საჭირო,
რათა ეღირსო ნამდვილ ხუთიანს.



თავს დაბლა ვუკრავ მე ყველა ლექტორს,
ცოდვის ღიმილით ჩემს თავს ვაცოდებ,
თუ მოვასწარი, ყოველ ჩაცმაზე
პალტოს, ქუდსა და კალოშს ვაწოდებ.



თუ კი იტყვიან ჩემზე — „არ არის",
არაფერს ვიტყვი დასაფარავად,
ავდგები, პასუხს არ დავაყოვნებ:
— დიახ, ბატონო, ალბათ, არა ვარ!
უჩვეულოა ჩემი მეთოდი,
განა სხვა ვინმეს დავემგვანები?
ხალხს უხარია, მეც მიხარია:
— იშვიათია ჩემისთანები!..

* * *

რა საჭიროა, თუ ეს სტუდენტი
რა ჯვარი არის, ან და რა ჰქვია?
გვახსოვდეს: ჩვენში კაცებად გვზრდიან,
მოქალაქედ და არა ლაქიად.

ტექსტი **ლ. ბოგბიჩიძისა**
ნახატები **რ. უსაძისა**

# ბუ ადამი

„ბუ ადამი" თურქული ხალხური ანეგდოტების კრებულია, რომელიც დაკავშირებულია ანონიმურ სახელთან — ბ უ ა დ ა მ თ ა ნ („ეს კაცი").

ანეგდოტები შეკრებილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, თარგმნილია რიგ ევროპულ ენებზე და მოწონებას იმსახურებს მკითხველთა ფართო მასებში.

* * *

ბუ ადამს ჰკითხეს:
— შენი მოსასხამის საყელო რატომ არის გრძელიო.
— მზემ კეფა რომ არ დამწვასო, უპასუხა ბუ ადამმა.
— მზე რომ წინიდან შეგხვდეს, რას იზამო,
— სანქარო საქმე რო მაქვს, უკან გავბრუნდებიო,—მიუგო ბუ ადამმა.

* * *

ერთ ომში ბუ ადამი მტერს ტყვედ ჩაუვარდა. იმ დროს ტყვეები იყიდებოდა. ბუ ადამი ერთმა წარჩინებულმა კაცმა იყიდა ათ ოქროდ, მერე ბუ ადამს ორმოცდაათი ოქრო მისცა და თავისი ქალიშვილი მიათხოვა.

ქალი ცუდი ხასიათის გამოდგა.

ერთ დღეს სიმამრი ბუ ადამს გაუჯავრდა და უთხრა:
— შენ ის არა ხარ, მტრის ხელიდან ათ ოქროდ რომ დაგიხსენი და ტყვეობას გადაგარჩინეო?
— დიახ, მე ისა ვარ, ათ ოქროდ მტრის ტყვეობას რომ გადამარჩინე და ორმოცდაათ ოქროდ შენი ქალიშვილის ტყვე გამხადეო, — უპასუხა ბუ ადამმა.

* * *

ერთ საღამოს ბუ ადამის ოთახში ქურდი შევიდა.

როდესაც ქურდმა აქეთ-იქეთ მიმოიხედა და საკბილოს ძებნას შეუდგა, ბუ ადამს გამოეღვიძა და ქურდს უთხრა: ტყუილად ნუ გაირჯები, რასაც შენ აქ ღამით დაეძებ, მე მთელი დღე ვერ მიპოვნიაო.

* * *

ერთ საღამოს ბუ ადამის სახლში ქურდი შევიდა, ბუ ადამი განჯინაში დაიმალა. ქურდმა მთელი სახლი გადაჩხრიკა და, როცა ვერაფერი იპოვა, განჯინის კარი გამოაღო. შიგ ბუ ადამი დაინახა და ჰკითხა:
— რატომ დაიმალე?
— შენი შემრცხვა და იმიტომაო, — უპასუხა ბუ ადამმა.

* * *

ბუ ადამს უთხრეს, რომ ერთი წარჩინებული პიროვნება ყოველდღე სხვადასხვა ტანისამოსს იცვლისო.
— გასაგებია, თერძის უკმაყოფილო ყოფილაო,—უპასუხა ბუ ადამმა.

* * *

ბუ ადამი ამხანაგებთან სასეირნოდ წავიდა.

ერთმა თქვა, მე თქვენ ბატკანს შეგიწვავთ; მეორემ: ჰალვას გაგიკეთებთო, მესამემაც:—ტოლმასაო.

ბუ ადამმა თქვა: თუ, ასეა, მე ფლავს გაგიკეთებთო, ორ ოყა ბრინჯს ოცდაათ ოყა ერბოში ავადუღებ და საუცხოო ფლავი იქნებაო.

როცა უთხრეს, ორი ოყა ბრინჯი ოცდაათ ოყა ერბოში მოდუღებული როგორი ფლავი იქნებაო, ბუ ადამმა უპასუხა: ტყუილი იქნება, მაგრამ ცხიმიანიო.

თურქულიდან თარგმნა

**გრიგოლ გვაძაბიამ.**

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 35688.